MES 7 22 0001125324

20/09/2022

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი

ქ. თბილისი
სხდომის თარიღი: 06.09.2022
სხდომის დაწყების დრო: 14:00სთ
სხდომის დასრულების დრო: 17:10სთ
საბჭოს თავმჯდომარე: გოდერძი ბუჩაშვილი I- IX
სხდომის თავმჯდომარე: ნათია ზედგინიძე-ჯიშკარიანი X-XII
საბჭოს მდივანი: დავით ტეფნაძე

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" (შემდეგში-აკრედიტაციის დებულება) 33-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით.
საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის (შემდგომში საბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:
გოდერძი ბუჩაშვილი - შპს "საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ-ის" ადმინისტრაციული მიმართულებით ვიცე-რექტორი - საბჭოს თავმჯდომარე;
ნათია ზედგინიძე-ჯიშკარიანი - სსიპ ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის მენეჯმენტის სკოლის ხელმძღვანელი - საბჭოს თავმჯდომარის მადგილე;
ერეკლე ასტახიშვილი - შპს "თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის" პროფესორი, სსიპ - შოთა რუსთაველის სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის მოადგილე;
ირინა გველესიანი - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;
ხათუნა თოდაძე - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ვიცე-რექტორი;

ლევან მოსახლიშვილი - სს "საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ფონდის" დირექტორის მოადგილე იურიდიულ საკითხებში";
თეა მჭედლური - სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;
ეკატერინე ნაცვლიშვილი - შპს "ევროპის უნივერსიტეტის" ასოცირებული პროფესორი;
თამარ სირაძე - სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე სასწავლო დარგში;
დავით ტეფნაძე - ა(ა)იპ - საქართველოს სტუდენტური ორგანიზაციების ასოციაციის ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის დოქტორანტი (საბჭოს მდივანი);
ეკატერინე შაკიაშვილი - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საინჟინრო ეკონომიკის, მედია ტექნოლოგიებისა და სოციალური მეცნიერებების ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი;
დავით ჩოჩიშვილი - სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;
გურანდა ჭელიძე - შპს "კავკასიის უნივერსიტეტის": პროფესორი.

სხდომაზე დამსწრე პირები

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები

N	სახელი, გვარი	სტატუსი
1	ანა ჯუღელი	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი
2	ანა ჯავახიშვილი	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი
3	დიმიტრი ცანავა	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები

N	სახელი, გვარი	საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება	სტატუსი	საკითხი
1	პარმენ ხვედელიძე	შპს - ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტი	რექტორი	2
2	ეკატერინე მუხასჯბა		დეკანი	2
3	ვლადიმერ პარშინი		პროგრამის ხელმძღვანელი	2
4	ომარ ლომიძე		პროგრამის ხელმძრვანელი	2

5	ბორის კიკვენია		პროგრამის თანახელმძღვანელი	2
6	ნათია მიქელთაძე		ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	2
7	დავით რაზმაძე	სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია	რექტორის მოადგილე	3
8	მარიამ ღამბაშიძე		ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	3
9	იოსებ ჯაფარიძე		აკადემიის მაგისტრატურის ხელმძღვანელი	3
10	ზურაბ აგლაძე		უსაფრთხოების კვლევების პროგრამის ხელმძღვანელი	3
11	სოფიო ფაჩულია		ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი	3
12	თამარ რემიშვილი		ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი	3
13	ნინო ისაკიძე		აკადემიის მაგისტრატურის ხარისხის ექსპერტი	3
14	ჯიმი კეკელაშვილი		აკადემიის შტაბის G3/G2 სამსახურის სამოქალაქო-სასწავლო განყოფილების უფროსი	3
15	სალომე პირველი	შპს - თბილისის თავისუფალი აკადემია	რექტორი	4
16	ანჟელა აბულაძე		ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	4
17	ეკატერინე ჩინჩალაძე		ფსიქოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი	4
18	ნათია ჯოჯუა	შპს - ევროპის უნივერსიტეტი	მედიცინის ფაკულტეტის დეკანი	5
19	თინათინ გოგნაძე		დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი	5
20	ნინო გაგელიძე		ხარისხის უზრუნველყოფის	5

			სამსახურის უფროსის მოადგილე	
21	სოფიო ხუნდაძე		ვიცე რექტორი ხარისხის განვითარების მიმართულებით	5
25	დავით მახვილაძე	სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	6
26	ზაზა მეიშვილი	სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი	პროგრამის ხელმძღვანელი	7
27	ირაკლი ფორჩხიძე		სამართლის სკოლის დეკანი	7
28	კონსტანტინე ჩოკორაია		სამართლის სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	7
29	ნინო ჟვანია		ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	7-8-9
30	დავით თარხნიშვილი		პროგრამის ხელმძღვანელი	8-9
31	ელენე ჟურავლოვა		ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	8-9
32	ღავთაძე გიორგი	შპს საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი - სეუ	ვიცერ-რექტორი აკადემიური მიმართულებით	10-12
33	ფირცხალაშვილი ანა		ვიცე-რექტორი სამეცნიერო-კვლევითი მიმართულებით	10-12
34	კალანდარიშვილი ლევან		ვიცე-რექტორი ფინანსებისა და რესურსების მიმართულებით	10-12
35	ბერიაშვილი რუსუდანი		ბიზნესის ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელი	10-12
36	მაისურაძე თეონა		ბიზნესის ადმინისტრირების ინგლისურენოვანი საბაკალვრო და სამაგისტრო პროგრამების ხელმძღვანელი	10-12
37				10-12

	ალფრედო მოსკარდინი		ბიზნესის საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების თანახელმძღვანელი	
38	მოსიაშვილი ვალერი		ბიზნესსა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის დეკანი	10-12
39	ზუმბაძე ნონა		ხარისხის განვითარების დეპარტამენტის ხელმძღვანელი	10-12

აკრედიტაციის ექსპერტები

N	სახელი, გვარი	ინფორმაცია ელექტრონული საშუალებით მონაწილეობის შესახებ	საკითხი
1	გივი სანაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	2
2	ივანნა მაჩიტიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	3
3	ლილი ხეჩუაშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	4
4	ხათუნა საგანელიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	5
5	ნათია დაღელიშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	6
6	ინგა დიასამიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	7
7	ზვიად როგავა	(ჩაერთო „ზუმით“)	8-9
8	ლევან ჯაყელი	(ჩაერთო „ზუმით“)	8-9
9	ეკა ლეკაშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	10-12
10	თირნიკე ხოშტარია	(ჩაერთო „ზუმით“)	10-12
11	თეა კასრაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	10-12
12	ქეთევან ქავთარაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	10-12
13	ქრისტინე ჩიხლაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	10-12
14	მარიამ გორგოძე	(ჩაერთო „ზუმით“)	10-12

აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ გოდერძი ბუჩაშვილმა.

საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა აკრედიტაციის დებულების 27^5-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.
საბჭოს სხდომა დაიწყო: 14:00საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. შპს - ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტის "გემის მექანიკის" ინგლისურენოვან საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა.
2. სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის "უსაფრთხოების კვლევების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა.
3. შპს - თბილისის თავისუფალი აკადემიის "ფსიქოლოგიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა.
4. შპს - ევროპის უნივერსიტეტის, დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა.
5. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „სამეწარმეო ბიზნესის ორგანიზაციისა და მართვის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამზე რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა.
6. სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის "ეკოლოგიის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა.
7. სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის "სისხლის სამართლის" სამაგისტრო სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა.
8. სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის „საჯარო სამართლისა და პოლიტიკის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა.
9. შპს საქართველოს ეროვნულ უნივერსიტეტ - სეუ-ს „ბიზნესის ადმინისტრირების" ინგლისურენოვან საბაკალავრო საგანამანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
10. შპს საქართველოს ეროვნულ უნივერსიტეტ - სეუ-ს „ბიზნესის ადმინისტრირების" ინგლისურენოვან სამაგისტრო საგანამანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
11. შპს საქართველოს ეროვნულ უნივერსიტეტ - სეუ-ს „ბიზნესის ადმინისტრირების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით:

კი

დამტკიცებული დღის წესრიგი:

1. "შპს - კავკასიის უნივერსიტეტის და ფერლი დიკინსონის უნივერსიტეტის „მასპინძლობის მენეჯმენტის" ინგლისურენოვანი ერთობლივი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ" საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2022 წლის 03 მაისის №444389 გადაწყვეტილების დანართში და 2022 წლის 03 მაისის №443804 სხდომის ოქმის №3 ნაწილში ტექნიკური ხარვეზის გასწორება.

2. შპს - ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტის “გემის მექანიკის” ინგლისურენოვან საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა.
3. სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის “უსაფრთხოების კვლევების” სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა.
4. შპს თბილისის თავისუფალი აკადემიის “ფსიქოლოგიის” საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა.
5. შპს - ევროპის უნივერსიტეტის, დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა.
6. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „სამეწარმეო ბიზნესის ორგანიზაციისა და მართვის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამზე რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა.
7. სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის “ეკოლოგიის” სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა.
8. სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის “სისხლის სამართლის“ სამაგისტრო სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა.
9. სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის „საჯარო სამართლისა და პოლიტიკის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა.
10. შპს საქართველოს ეროვნულ უნივერსიტეტ - სეუ-ს „ბიზნესის ადმინისტრირების" ინგლისურენოვან საბაკალავრო საგანამანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
11. შპს საქართველოს ეროვნულ უნივერსიტეტ - სეუ-ს „ბიზნესის ადმინისტრირების" ინგლისურენოვან სამაგისტრო საგანამანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
12. შპს საქართველოს ეროვნულ უნივერსიტეტ - სეუ-ს „ბიზნესის ადმინისტრირების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

- **პირველი საკითხი: "შპს - კავკასიის უნივერსიტეტის და ფერლი დიკინსონის უნივერსიტეტის „მასპინძლობის მენეჯმენტის“ ინგლისურენოვანი ერთობლივი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ" საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2022 წლის 03 მაისის №444389 გადაწყვეტილების დანართში და 2022 წლის 03 მაისის №443804 სხდომის ოქმის №3 ნაწილში ტექნიკური ხარვეზის გასწორება.**

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

√ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

√ არა
პირველი საკითხის განხილვა

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის თანამშრომელმა დააყენა შუამდგომლობა შპს - კავკასიის უნივერსიტეტის და ფერლი დიკინსონის უნივერსიტეტის „მასპინძლობის მენეჯმენტის“ ინგლისურენოვანი ერთობლივი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის 2022 წლის 03 მაისის №444389 გადაწყვეტილების დანართში და აკრედიტაციის საბჭოს 2022 წლის 03 მაისის №443804 ოქმის №3 ნაწილში ტექნიკური ხარვეზის გასწორების შესახებ. კერძოდ, აკრედიტაციის საბჭოს 2022 წლის 03 მაისის №443804 ოქმში, №3 ნაწილში და 2022 წლის 03 მაისის №444389 გადაწყვეტილების დანართში, ფერლი დიკინსონის უნივერსიტეტის მიერ მინიჭებული კვალიფიკაციის დასახელება ნაცვლად რიზმიტარული მეცნიერებების ბაკალავრი მასპინძლობასა და ინოვაციურ და მაღალხარისხიან ტურიზმში / Bachelor of Arts in Hospitality & Tourism Innovation and Excellence უნდა იყოს მითიღებული: ჰუმანიტარული მეცნიერებების ბაკალავრი მასპინძლობასა და ინოვაციურ და მაღალხარისხიან ტურიზმში / Bachelor of Arts in Hospitality & Tourism Innovation and Excellence.
საბჭოს სხდომაზე დამსწრე პირებმა აღნიშნეს, რომ გაეცნენ საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ გამოგზავნილ შუამდგომლობას და დამატებითი კითხვები არ აქვთ.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 14:05
დასრულების დრო: 14:08

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: "შპს - კავკასიის უნივერსიტეტის და ფერლი დიკინსონის უნივერსიტეტის „მასპინძლობის მენეჯმენტის“ ინგლისურენოვანი ერთობლივი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ" საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2022 წლის 03 მაისის №444389 გადაწყვეტილების დანართში და 2022 წლის 03 მაისის №443804 სხდომის ოქმის №3 ნაწილში ტექნიკური ხარვეზის გასწორების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 11
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება :
საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომაზე დაფიქსირებული გარემოებებისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება:"შპს - კავკასიის უნივერსიტეტის და ფერლი დიკინსონის უნივერსიტეტის „მასპინძლობის მენეჯმენტის“ ინგლისურენოვანი ერთობლივი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ" საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2022 წლის 03 მაისის №444389 გადაწყვეტილების დანართში და 2022 წლის 03 მაისის №443804 სხდომის ოქმის №3 ნაწილში გასწორდეს ტექნიკური შეცდომა და შპს - კავკასიის უნივერსიტეტის და ფერლი დიკინსონის უნივერსიტეტის „მასპინძლობის მენეჯმენტის“ ინგლისურენოვანი ერთობლივი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის ფერლი დიკინსონის უნივერსიტეტის მიერ მინიჭებული **კვ ალიფიკაციის დასახელებად მიეთითოს - ჰუმანიტარული მეცნიერებების ბაკალავრი მასპინძლობასა და ინოვაციურ და მაღალხარისხიან ტურიზმში;**

- **მეორე საკითხი: შპს - ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტის “გემის მექანიკის” ინგლისურენოვან საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა.**

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	გემის მექანიკა
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	02.06.2021 MES 7 21 0000515008
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მე-6
9	კვალიფიკაციის დასახელება	ინჟინერიის ბაკალავრი საზღვაო ინჟინერიაში
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0716 -ძრავიანისატრანსპორტოსაშუალებები, გემებიდასაჰაეროხომალდები/ Motor Vehides, Ships and Aircnft.
12	სწავლების ენა	ინგლისური
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	საქართველო, 6000, ბათუმი, თამარ მეფის გამზირი N38
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე	-

	სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

√ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

√ არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეორე საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტი გივი სანაძე მიესალმა საბჭოს წევრებს, დაწესებულებას და მოკლე მიმოხილვა გააკეთა საკითხთან მიმართებაში მან აღნიშნა რომ პროგრამასთან მიმართებაში წარდგენილი იყო ცხრა რეკომენდაცია, აგრეთვე, პროგრამას განსაზღვრული ქონდა მონიტორინგი, რომელიც ჩატარდა ადგილზე ვიზიტით. ექსპერტმა აღნიშნა რომ ანგარიშის და მონიტორინგის შედეგები არის იდენტური. რეკომენდაცია ძირითადად შეეხო სწავლის შედეგების კორექტირებას სასწავლო კურსების უნიფიცირებული შეფასების გამოსწორებას, პრაქტიკის ობიექტის შეცვლას და მატერიალური რესურსების უსაფრთხოების ნორმების გამოსწორებას. ადგილზე ვზიტისას ექსპერტმა როგორც აღნიშნა ლაბორატორიებში უსაფრთხოების ნორმების დაცვა დადასტურდა, და ასევე ხაზი გაუსვა იმ გარემოებას რომ უნივერსიტეტის მხრიდან ადგილი აქვს სარემონტო სარეკონსტრუქციო სამუშაოებს. რაც გამომდინარეობს მატერიალური რესურსების გაძლიერებით. საბოლოდ კი დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანგარიში შეფასდა დადებითად.

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა დაწესებულებას წარმოედგინათ მათი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მას არ სურდა არაფრის დამატება და უბრალოდ ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ რამდენიმე დღით ადრე მათ ქონდათ საუბარი აღნიშნულ პროგრამაზე გეგმიურ მონიტორინგთან დაკავშირებით. ანგარიში წარდგენილ იქნა 31 მაისს. ივნისის თვეში განხორციელდა მონიტორინგი, უკვე ადგილზე სადაც მათ ქონდათ საშუალება წარედგინათ და დაედასტურებინათ რეკომენდაციების შესრულება და როგორც მონიტორინგის ისე ანგარიშის შესრულებაში აისახა ის ფაქტი რომ დაწესებულებამ ყველა რეკომენდაცია შეასრულა.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 14:15
დასრულების დრო: 14:25

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: შპს - ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტის "გემის მექანიკის" ინგლისურენოვან საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 11
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
აკრედიტაციის დებულების 27^{6} მუხლის მე - 2 პუნქტისა და 2^{11} პუნქტის საფუძველზე შპს - ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტი "გემის მექანიკის" ინგლისურენოვან საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიში საბჭოს მიერ ცნობად იქნა მიღებული.

სხდომას შემოუერთდნენ საბჭოს წევრები - თეა მჭედლური და ეკატერინე ნაცვლიშვილი.

- **მესამე საკითხი: სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის "უსაფრთხოების კვლევების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა.**

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	უსაფრთხოების კვლევების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	07/07/2021 MES 5 21 0000690444
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მე-7
9	კვალიფიკაციის დასახელება	უსაფრთხოების კვლევების მაგისტრი

10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0312 უსაფრთხოების კვლევები
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
14	განხორციელების ადგილი	საქართველო/ 1400/ გორი/ ცხინვალის გზატკეცილი, მე-3 კმ.
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

√ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

√ არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მესამე საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტი ივანნა მაჩიტიძე მიესალმა საბჭოს წევრებს, ექსპერტებს და დაწესებულების წარმომადგენლებს. ექსპერტის თქმით დაწესებულებამ მეტწილად გაითვალისწინა რეკომენდაციები და განახორციელა ცვლილებები პროგრამაში, სილაბუსებში და სხვადასხვა დოკუმეტაციაში. რჩევებთან მიმართებაში აღნიშნა რომ რჩევები მიუხედავად იმისა, რომ შესასრულებლად არ არის სავალდებულო სამუშაო ჯგუფის მიერ მაინც მოხდა მათი განხილვა და განხორციელებული ეტაპების დადგენა. ექსპერტმა აღნიშნა რომ ორი რეკომენდაცია ნაწილობრივ შერულებულია, მისი თქმით ეს ეხება სასწავლო კურსის სპეციფიკას რომ უნდა იყოს ერთმანეთისგან განსხვავებული კრიტერიუმები რომელიც ითვალისწინებს სასწავლო კურსების სპეციფიკას რუბლიკებს და შეფასების მეთოდებს. ეს რეკომედაცია შეფასდა როგორც

ნაწილობრივ შესრულებული, რადგან სასწავლო კურსის სილაბუსებში შეფასების კომპონენტები უმეტეს წილად მრავალფეროვანია, მაგრამ რიგით საგნებთან მიმართებაში როგორიც არის აკადემიური წერა, საერთაშორისო ურთიერთობის თეორიები, აშშს საგარეო პოლიტიკა და ეროვნული უსაფრთხოების არქიტექტურა, საჭიროა შეფასების რუბრიკების დაზუსტება. მეორე რეკომენდაციასთან დაკავშირებით მან აღნიშნა, რომ საერთაშორისო ურთიერთობების თეორიები და ამერიკის შერთებული შტატების საგარეო პოლიტიკის საგნებში საჭიროა შეფასების კომპონენტის დაზუსტება. კერძოდ, ნული ქულის შეფასება ცალკე უნდა იყოს, ასევე რაც შეხება რეკომედაციას სასწავლო კურსების ძირითადი და არჩევითი ძირითადი და დამხმარე ლიტერატურის გამართვას, ესეც შეფასდა როგორც უმეტეს წილად შესრულებული რადაგნ ისეთ სასწავლო კურსებში როგორიც არის ეროვნული უსაფრთხოების არქიტექტურა და სტრატეგის კურსი მაინც საჭიროა ძირითადი და დამატებითი ლიტერატურის ჩამონათვალის გამართვა, ავტორების მითითება. სხვა კომპონეთთან მიმართებაში ექსპერტს დადებითი შეფასება ქონდა დაწესებულების მიერ განხორციელებულ ქმედით ნაბიჯებთან მიმართებაში.

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა დაწესებულებას წარმოედგინათ მათი პოზიცია.
დაწესებულების წარმომადგენელმა მარიამ ღამბაშიძემ, ყურადღება გამახვილა იმ რეკომენდაციებზე რომლებიც ნაწილობრივ შესრულებულად შეფასდა ექსპერტის მიერ, მომხსენებელის თქმით რეკომენდაციებთან დაკავშირებით არერთხელ მოხდა შეხვედრა და განხილვა, საბოლოო ჯამში მივიდნენ დასკვნამდე, რომ მათ მიუხედავად იმისა რომ ქონდათ განსხვავებული რუბრიკები ეს დაწესებულების ავტონომიურობიდან გამომდინარეობდა და შესაბამისად მათი შეცვლა მეტწილად მიზანშეწონილად არ მიიჩნიეს, თუმცა მისი თქმით ეს ბუნებრივი განვითარებადი პროცესია რომელიც ეტაპობრივად იცვლება. რაც შეეხება მეორე რეკომედაციას რომელსაც ნაწილობრივ შესრულებულის სტატუსი აქვს მინიჭებული რომელიც ნულით შეფასების კომპონენტს ეხება, მან აღნიშნა, რომ მათ აქვთ შეფასების კომპონენტი, სილაბუსებით განსაზღვრული ორმოცდათერთმეტ ქულიანი შეფასების სისტემა. მისი თქმით, მინიმალური კომპეტენციის ზღვრის შემთხვევაში, სტუდენტს უნულდება შეფასება და ეს სწორი მიდგომაა. დაწესებულებამ სახელმძღვანელოებთან მიმართებაში განმარტა რომ ისინი იყენებენ წყაროების დამოწმების მეთოდს ჩიკაგოს სტილის მიხედვით.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები:
საბჭოს წევრმა, ირინა გველესიანმა, დასვა დამაზუსტებელი შეკითხვა ინსტიტუციასთან, რომელიც შეხებოდა თუ რა სახის ღინისძიებების გატარება იგეგემებოდა პროგრამის უცხოელი ექსპერტების გარე შეფასების მიზნით.
დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მათ გადაგზავნილი აქვთ აღნიშნული დოკუმეტი, რომელიც ნაციონალური უსაფრთხოების დეკანის მიერ არის შემოწმებული და უბრალოდ ტექნიკური შეცდომად აღიქვეს ის ფაქტი რომ რეკომენდაციაში ამსაკითხზე ჩანაწერი მოხვდა. აგრეთვე ხაზი გაუსვეს იმ გარემოებას რომ მათ აქვთ სხვადასხვა ექსპერტების მიერ გაკეთებული გარე შეფასების ანგარიშები, რაც შეხება დაწესებულების სამომავლო პერსპექტივას ჩართულები არაიან ნატოს არა ერთ ქვეპროგრამაში მათშორის (დიფ), რომელიც პროგრამების ყოველწლიურ გარეშეფასებას ახდენს.
საბჭოს წევრმა გურანდა ჭელძემ კითხვით მიმართა ექსპერტს, თუ რატომ იყო მის დასკვნაში მეოთხე გვერძე ნაწილობრივ შეფასებაში მეორე სტანდარტი, როცა პროგრამა ანგარიშით იყო წარმოდგენილი და სთხოვა ექსპერტს განმარტება გაეკეთებინა, თუ რასთან ქონდათ საქმე.
ექპსერტმა, ივანნა მაჩიტიძემ განმარტა, რომ ადგილი ქონდა ტექნიკურ უზუსტობას.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 14:35
დასრულების დრო: 14:40

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის "უსაფრთხოების კვლევების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
აკრედიტაციის დებულების 27^{6} მუხლის მე - 2 პუნქტისა და 2^{11} პუნქტის საფუძველზე სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის "უსაფრთხოების კვლევების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიში საბჭოს მიერ ცნობად იქნა მიღებული.

- **მეოთხე საკითხი: შპს - თბილისის თავისუფალი აკადემიის "ფსიქოლოგიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა.**

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ფსიქოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	N45167, 20.01.2022
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მე-6
9	კვალიფიკაციის დასახელება	ფსიქოლოგიის ბაკალავრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0313 ფსიქოლოგია
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240

14	განხორციელების ადგილი	თბილისის თავისუფალი აკადემია, ქ. თბილისი, ჯურხა ნადირაძის ქ. N46, N1, 0102, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

√ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

√ არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეოთხე საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტმა ლილი ხეჩუაშვილმა სიტყვა დაიწყო მისალმებით, აღნიშნა რომ საბჭოს გადაწყვეტილებით შესასრულებელი იყო სულ თორმეტი რეკომენდაცია, საიდანაც დაწესებულებამ თერთმეტი რეკომედაცია სრულად გაიზიარა და შეასრულა. დაწესებუელბას წარმოდგენილი ქონდა ყველა დამადასტურებელი დოკუმენტი. მისი თქმით ერთადერთი რეკომენდაცია, რომელიც ფაქტობრივად არ იყო შესრულებული ეხებოდა ონლაინ სწავლების პლატრფორმის შემუშავებას უნივერსიტეტში სტუდენტებისთვის. თუმცა, დაწესებულებამ ამის არგუმენტად წარმოადგინა ის რომ ონლაინიდან მთლიანად გადავიდა იფლაინ სწავლებაზე. ხოლო, იმ შემთხვევაში თუ საჭიროება დადგება ისევ სწავლების ამ მეთოდზე გადასვლის მათ დაწყებული აქვთ მუშაობა ამ მიმართულებით. მან აღნიშნა, რომ მოცემული მომენტისთვის რეკომენდაცია არ იყო შესრულებული თუმცა, განსაკუთრებული საჭიროება შესრულების ამ მომენტისთვის არ იდგა.
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა დაწესებულებას წარმოედგინათ მათი პოზიცია.
დაწესებულეების წარმომადგენელმა, სალომე პირველმა სიტყვა დაიწყო მისალმებით, მადლობა გადაუხადა ექსპერტს გაწეული სამუშაოსთვის და განაცხადა, რომ ყველა რეკომენდაცია შეასრულეს ერთის გარდა და ამასთან დაკავშირებით აქვთ არგუმენტი რომ არ არინ ონლაინ სწავლების პროცესში, მაგრამ საჭოროების შემთხვევაში, მზად არიან Zoom-ის პლატფორმა შეიძინონ, რომელიც ონალინ სწავლებაში გამოყენებადი მნიშვნელოვანი მექანიზმია.

საბჭოს თავჯდომარემ, დამაზუსტებელი შეკითხვით მიმართა დაწესებულებას და ჰკითხა, თუ რამდენი სტუდენტი ყავდათ მიღებული, რაზეც დაწესებულებამ უპასუხა, რომ ერთიანი ეროვნული გამოცდების საფუძველზე მათთან ამ პროგრამაზე ჩაირიცხა ათი სტუდენტი.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 14:50
დასრულების დრო: 14:55

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: შპს - თბილისის თავისუფალი აკადემიის "ფსიქოლოგიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
აკრედიტაციის დებულების 27^6 მუხლის მე - 2 პუნქტისა და 2^{11} პუნქტის საფუძველზე შპს - თბილისის თავისუფალი აკადემიის "ფსიქოლოგიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიში საბჭოს მიერ ცნობად იქნა მიღებული.

- **მეხუთე საკითხი: შპს - ევროპის უნივერსიტეტის, დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა.**

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	დიპლომირებული მედიკოსი
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	№654207, 30.06.2021
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ერთსაფეხურიანი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მე-7
9	კვალიფიკაციის დასახელება	დიპლომირებული მედიკოსი
10		-

	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0912 მედიცინა
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	360
14	განხორციელების ადგილი	სარაჯიშვილისქ. No17, თბილისი, 0189, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

√ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

√ დიახ
ეკატერინე ნაცვლიშვილმა განაცხადა თვითაცილება შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეხუთე საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტმა, ხათუნა საგანელიძემ საბჭოზე თავისი პოზიციის წარსადგენად სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში შემოიტანა განცხადება სადაც აღნიშნა, რომ ევროპის უნივერისტეტის მიერ წარმოდგენილი ანგარიში მოიცავდა დეტალურ ინფორმაციას შესრულებული სამუშაოს შესახებ და დოკუმენტზე ასევე თანდართული იყო მტკიცებულებები. დასკვნაში განხილულია თითოეული რეკომენდაცია, გაკეთებულია უნივერსიტეტის ანგარიშში აღწერილი ინფორმაციის ანალიზი მტკიცებულებებზე დაყრდნობით. წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული ექვსივე რეკომენდაცია შესრულებულია. გარდა რეკომენდაციებისა, დაწესებულებას ასევე

გათვალისწინებული აქვს საბჭოს მიერ გაცემული რჩევებიც და გადადგმულია კონკრეტული ნაბიჯები მათ შესასრულებლად. მისი აზრით, აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციები და რჩევები შესრულებულია დაწესებულების მიერ.
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა დაწესებულებას წარმოედგინათ მათი პოზიცია.
დაწესებულების წარმომადგენელმა, სოფიო ხუნდაძე მიესალმა საბჭოს დამსწრე წევრებს და აღნიშნა რომ ყველა რეკომენდაცია შესარულეს და თუ რაიმე კითხვა იქნებოდა მზად იყო პასუხი გაეცათ.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
საბჭოს წევრების მხრიდან კითხვები არ ყოფილა.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 15:05
დასრულების დრო: 15:10

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: შპს - ევროპის უნივერსიტეტის, დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
აკრედიტაციის დებულების 27^6 მუხლის მე - 2 პუნქტისა და 2^{11} პუნქტის საფუძველზე შპს - ევროპის უნივერსიტეტის, დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიში საბჭოს მიერ ცნობად იქნა მიღებული.

- **მეექვსე საკითხი: სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „სამეწარმეო ბიზნესის ორგანიზაციისა და მართვის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამზე რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა.**

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	სამეწარმეო ბიზნესის ორგანიზაცია და მართვა
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	685545 07/07/2021
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი

7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მე-6
9	კვალიფიკაციის დასახელება	ბიზნეს ადმინისტრირების ბაკალავრი მენეჯმენტში
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0413 - მენეჯმენტი და ადმინისტრირება
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	საქართველო, 0175, თბილისი, მ. კოსტავას ქ. #68, #1 სასწავლოკორპუსი
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

√ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

√ დიახ

თვითაცილება შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე განაცხადა ეკატერინე შაკიაშვილმა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეექვსე საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტმა, ნათია დაღელიშვილმა აღნიშნა, რომ დაწსებულების მიერ, რჩევები სრულადაა გაითვალისიწინებული, ხოლო 17 რეკომენდაციიდან სრულად შესრულდა 15 რეკომენდაცია, ერთი ნაწილობრივ, ხოლო ერთი კი არ არის შესრულებული. ექსპერტმა მოხსენებისას ხაზი გაუსვა იმ რეკომენდაციებს რომელებიც ნაწილობრივ ან არ იყო შესრულებული. პირველ შემთხვევაში საქმე ეხება სწავლის შედეგებს, კერძოდ საბჭოს რეკომენდაციების მიხედვით

მოხდა ცვლილებები და დაზუსტდა, კურსები რომლებსაც აქვთ მესამე დონე. მიუხედავად იმისა რომ პროგრამის სწავლის კურსებში რიგ ცვლილებებს ქონდა ადგილი კერძოდ დაზუსტდა ზოგიერთი საგნის წინაპირობა, სავალდებულო გახდა ზოგი არჩევითი საგანი და ა.შ., მისი თქმით აქედან გამომდინარე, სავარაუდოდ რეკომენდაცია არასწორად იყო აღქმული. რაც შეეხება რეკომენდაციას რომელიც დაწესებულებამ არ გაითვალისწინა პროგრამის სტრუქტურაში უცხოენების კომპონენტი არის სავალდებულო არჩევითი სახით წარმოდგენილი. სტუდენტს შეუძლია ჩაბაროს ფრანგული, ინგლისური გერმანული ან რუსული ენით და შემდგომ აირჩიოს უცხო ენა ოცი კრედიტის ფარგლებში. თუმცა პროგრამაზე სტუდენტი აბარებს რომელიმე სხვა ენით და არიცის ინგლისური ენით, ვინაიდან მისი შესწავლა პროგრამის ფარგლებში იწყება B1 დონიდან და არა A1 დონიდან. მიუხედავად იმისა რომ დაწესებულების მხრიდან აქცენტია გაკეთებული ინგლისური ენის უფასო კურსებზე ეს არ დასტურდება იმ დოკუმენტაციით რომელიც ექსპერტს წარედგინა დაწესებულების მხრიდან. გარდა ამისა პროგრამის ფარგლებში სასწავლო კურსის დამხმარე ლიტერატურა არის ინგლისურ ენაზე რაც ზღუდავს არა ინგლისურ ენოვანი სტუდენტებისთვის მისი გამოყენების შესაძლებლობას. ასევე ინგლისური ენის გაძლიერება ხელს შეუწყობს ინტერნაციონალიზაციის საკითხს. ექსპერტის თქმით ეს ის რეკომედაციები იყო რომლებიც ნაწილობრივ შესრულდა ან საერთოდ არშესრულდა, შესრულებული რეკომენდაციები კი წინაპირობების დაზუსტებას ეხებოდა. ლიტერატურის მითითებას შედეგების განმარტებას და თხუთმეტივე რეკომენდაცია სრულად არის შესრულებული.

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა დაწესებულებას წარმოედგინათ მათი პოზიცია.
დაწესებულების წარმომადგენელმა, დავით მახვილაძემ აქცენტი გაკეთა იმ ორ რეკომენდაციაზე რომელიც ნაწილობრივ შესრულდა ან საერთოდ არ შესრულდა. პირველი რაც აღნიშნა ეს იყო ინგლისური ენის საკითხი სადაც არგუმენტად მოიყვანა ის გარემოება რომ მათ პროგრამაზე ოთხი უცხო ენით შეიძლება ჩააბაროს აბიტურიენტმა ისისნი იძულებულები იყვნენ და ვერ შეცვლიდნენ პროგრამის იმ კომპონენტს სადაც ინგლისური ენა სავალდებულოდ უნდა ყოფილიყო წარმოდგენილი. ასევე აღნიშნა რომ მათ აქვთ ენების დეპარტამენტი, სადაც ყველა დონეზე ხდება ენის შესწავლა მსურველისთვის. მაგრამ როგორც აღნიშნა დაწესებულების წარმომადგენელმა კურიკულიუმის გარეთ ხდება მათი სწავლება. რეკომენდაციის ვერშესრულების მიზად კი დასახელა, ის რომ B2 დონეზე სწავლება სავალდებულო ვერგახდა მხოლოდ იმის გამო რომ მათ ყავთ კონტიგენტი სტუდენტების რომლებმაც საერთოდ არიციან ინგლისური. რაც შეხება მეორე რეკომენდაციას დაწესებულების წარმომადგენელის თქმით რომელიც ეხება შედეგების რუქას მათ ეს გამორჩათ მაგრამ ასევე დასძინა ის რომ მისი გამოსწორება არცისე რთულია. დანარჩენი კი ყველა რეკომენდაცია და ყველა რჩევა შეასრულეს ეს მათ ინტერესებშიც შედიოდა.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
საბჭოს წევრების მხრიდან კითხვები არ ყოფილა.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 15:20
დასრულების დრო: 15:25

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „სამეწარმეო ბიზნესის ორგანიზაციისა და მართვის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამზე რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 12

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
აკრედიტაციის დებულების 27^6 მუხლის მე - 2 პუნქტისა და 2^{11} პუნქტის საფუძველზე სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „სამეწარმეო ბიზნესის ორგანიზაციისა და მართვის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიში საბჭოს მიერ ცნობად იქნა მიღებული.

- **მეშვიდე საკითხი: სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის “ეკოლოგიის” სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა.**

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ეკოლოგია
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	20.06.2021 645447
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მე-7
9	კვალიფიკაციის დასახელება	მეცნიერების მაგისტრი ეკოლოგიაში
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0521 Environmental sciences/გარემოსმცოდნეობა
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
14	განხორციელების ადგილი	გ. წერეთლის N3, 0162 თბილისი, საქართველო ილიას სახელმწიფ ოუნივერსიტეტის G კორპუსი
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

√ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

√ არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეშვიდე საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტმა, ინგა დიასამიძემ, აღნიშნა, რომ რეკომენდაციები სრულად იქნა დაწესებულების მიერ გათვალისწინებული. დაწესებულების მიერ შექმნილმა სამუშაო ჯგუფმა სრულად გაიზიარა და გაითვალისიწნა როგორც რეკომენდაციები ისე რჩევები, აგრეთვე მანდ დამატებით გამოითხოვა სამაგისტრო ნაშრომები სადაც შემოწმდა ნაშრომის მოცულობა და ნაშრომში ციტირების წესი რამდენად იყო სტანდარტთან შესაბამისი და გამოარკვია რომ სრულად შესაბამისობაშია.

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა დაწესებულებას წარმოედგინათ მათი პოზიცია.
დაწესებულების წარმომადგენელმა, ნინო ჟვანიამ აღნიშნა, რომ დამატებითი კომენატები არ ჰქონდა.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
საბჭოს წევრების მხრიდან კითხვები არ ყოფილა.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 15:32
დასრულების დრო: 15:35

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის "ეკოლოგიის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

აკრედიტაციის დებულების 27^6 მუხლის მე - 2 პუნქტისა და 2^{11} პუნქტის საფუძველზე სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის "ეკოლოგიის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიში საბჭოს მიერ ცნობად იქნა მიღებული.

- **მერვე საკითხი: სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის "სისხლის სამართლის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა.**

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	სისხლის სამართალი
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	10.07.2017 41
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მე-7
9	კვალიფიკაციის დასახელება	სისხლის სამართლის მაგისტრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	სამართალი 0421
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
14	განხორციელების ადგილი	N, 32 ილია ჭავჭავაძის გამზირი, თბილისი
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

- **მეცხრე საკითხი: სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის „საჯარო სამართლისა და პოლიტიკის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა.**

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	

1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	საჯარო სამართალი და პოლიტიკა
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	19/08/2016 101
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მე-7
9	კვალიფიკაციის დასახელება	საჯარო სამართლის მაგისტრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	სამართალი 0421
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
14	განხორციელების ადგილი	N, 32 ილია ჭავჭავაძის გამზირი, თბილისი
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

√ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

√ არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მერვე და მეცხრე საკითხების ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერთა ჯგუფის თავჯდომარემ, ზვიად როგავამ განმარტა, რომ ორივე პროგრამაზე გამოკვეთილი იქნა ორი რეკომენდაცია. პირველი რეკომენდაცია ეხებოდა პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების საკითხს, რეკომენდირებულია რომ პროგრამის სწავლის შედეგები უნდა შეფასდეს არა პროგრამის ყველა კურსში არამედ მხოლოდ იმ სასწავლო კურსებში რომლებშიც რუკის მიხედვით ხდება პროგრამის სწავლის შედეგების განმტკიცება. და ამ მიზნით კურიკულუმის რუკაში მიეთითოს თუ რა დონით ავითარებს ესა თუ ის სასწავლო კურსი პროგრამის სწავლის შედეგებს. ხოლო მეორე რეკომენდაცია შეეხო საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობებს. რეკომენდებულია, საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული, ყველა წინაპირობა აისახოს უშუალოდ საგანმანათლებლო პროგრამაში, თუნდაც მითითებითი ნორმების სახით. ამასთან, რეკომენდებულია პროგრამაზე დაშვები სწინაპირობებში სიტყვები „ჩაბარებული აქვთ შესაბამისი ტიპის საერთო სამაგისტრო გამოცდა“ შეიცვალოს სიტყვებით „ჩაბარებული აქვთ საერთო სამაგისტრო გამოცდა“.
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა დაწესებულებას წარმოედგინათ მათი პოზიცია.
დაწესებულების წარმომადგენელი, კონსტანტინე ჩოკორაია მიესალმა დამსწრეებს და მადლობა გადაუხადა ექსპერტებს კვალიფიციური მუშაობისთვის. დაწესებულების წარმომადგენელმა ორივე პროგრამაზე მოკლე მოსაზრება წარმოადგინა, პირველ რეკომენდაციას რაც ეხებოდა, სწავლის შედეგების შეფასებაზე აღნიშნა რომ სამაგისტრო პროგრამის სფეციფიკის გათვალისწინებით სადაც არც თუ ისე ბევრი სასწავლო კურსია წარმოდგენილი ძირითადად სწავლების შეფასებაში იყენებენ ისეთ კურსებს რომლებიც სავალდებულოს ნაწილში გადის. რაც შეეხება ცალკე გამოყოფას და დაყოფას დაწესებულებამ მიიჩნია რომ ეს არაიყო მნიშვნელოვანი ვინაიდან შინარსობრივ კუთხეს უფრო მიანიჭეს პრიორიტეტი. რაც შეხებოდა მეორე ნაწილს რეკომენდაციისას რომელიც დაშვების წინაპირობას ეხებოდა აღნიშნა რომ ტექნიკური ხარვეზია რომელიც წინა ჩანაწერიდან გადმოყვათ და შესაბამისად მოხდება მისი ჩასწორება რეკომენდაციისამებრ.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
საბჭოს წევრების მხრიდან კითხვები არ ყოფილა.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 15:50
დასრულების დრო: 16:00

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის “სისხლის სამართლის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე დაწყებული წარმოების შეწყვეტა.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება: „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 31-ე მუხლის 25 -ე პუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის

დამტკიცების შესახებ „სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისი N233 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შეწყდა სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის "სისხლის სამართლის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებულ არაგეგმიურ მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება და მიჩნეულ იქნა, რომ "სისხლის სამართლის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა" და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორს".

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის „საჯარო სამართლისა და პოლიტიკის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე დაწყებული წარმოების შეწყვეტა.
კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება: „უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 31-ე მუხლის 25 -ე პუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ „სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისი N233 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შეწყდა სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის „საჯარო სამართლისა და პოლიტიკის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებულ არაგეგმიურ მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება და მიჩნეულ იქნა, რომ „საჯარო სამართლისა და პოლიტიკის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა" და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორს".

სახდომა დატოვა საბჭოს თავმჯდომარემ, გოდერძი ბუჩაშვილმა, რის შემდგომაც, აკრედიტაციი ს დებულების 27^2-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვნელა ნათია ზედგინიძე-ჯიშკარიანი.

- **მეათე საკითხი: შპს - საქართველოს ეროვნულ უნივერსიტეტ - სეუ-ს „ბიზნესის ადმინისტრირების" ინგლისურენოვან საბაკალავრო საგანამანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;**

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ბიზნესის ადმინისტრირება
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	ავტორიზებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	23.06.2021, N 620652
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მე-6
9	კვალიფიკაციის დასახელება	ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	მენეჯმენტი და ადმინისტრირება 0413
12	სწავლების ენა	ინგლისური
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	წინანდლის ქუჩა N17 თბილისი 0144 საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

- **მეთერთმეტე საკითხი: შპს - საქართველოს ეროვნულ უნივერსიტეტ - სეუ-ს „ბიზნესის ადმინისტრირების" ინგლისურენოვან სამაგისტრო საგანამანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;**

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ბიზნესის ადმინისტრირება
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	ახალი
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	-
5		-

	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მე-7
9	კვალიფიკაციის დასახელება	ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	მენეჯმენტი და ადმინისტრირება 0413
12	სწავლების ენა	ინგლისური
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
14	განხორციელების ადგილი	წინანდლის ქუჩა N17 თბილისი 0144 საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

- **მეთორმეტე საკითხი: შპს - საქართველოს ეროვნულ უნივერსიტეტ - სეუ-ს „ბიზნესის ადმინისტრირების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;**

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ბიზნესის ადმინისტრირება
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	ახალი
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	-
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მე-7
9	კვალიფიკაციის დასახელება	ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი
10		-

	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	მენეჯმენტი და ადმინისტრირება 0413
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
14	განხორციელების ადგილი	წინანდლის ქუჩა N17 თბილისი 0144 საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

√ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

√ არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეათე, მეთერთმეტე და მეთორმეტე საკითხების ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტთა ჯგუფის წევრი, თორნიკე ხოშტარია მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და გააცნო პროგრამაზე წარმოდგენილი რეკომენდაციები.
„ბიზნესის ადმინისტრირების" ინგლისურენოვან საბაკალავრო საგანამანათლებლო პროგრამაზე რეკომენდაციები:

- გადაიხედოს პროგრამის სწავლის შედეგების და სასწავლო კურსების შედეგების შესაბამისობის რუკა.
- რეკომენდებულია მოხდეს მესამე შედეგთან მიმართებით მიზნების და შედეგების ბმა პროგრამის სტრუქტურის გათვალისწინებით, რაც გულისხმობს სასწავლო კურსებში მწვანე ეკონომიკის საკითხების სწავლების გაძლიერებას.

- მიზანშეწონილია პროგრამის სტრუქტურაში წინაპირობების ნაწილში განხორციელდეს შემდეგი სახის ცვლილებები: „ბუღალტრული აღრიცხვის პრინციპებს“ მოეხსნას წინაპირობა; „ლიდერობას“, ნაცვლად „მენეჯმენტის პრინციპებისა“, დაშვების წინაპირობად განესაზღვროს „ადამიანური რესურსების მართვა“; „მენეჯერულ აღრიცხვას“ დაშვების წინაპირობად განესაზღვროს ,,ფინანსური აღრიცხვა“; „საერთაშორისო ეკონომიკა და სავაჭრო პოლიტიკის პრინციპებს“ წინაპირობად განესაზღვროს ,,საერთაშორისო ბიზნესი“.
- სავალდებულო სასწავლო კურსების სახით დამუშავდეს და შეთავაზებულ იქნას სასწავლო კურსები „ინფორმაციული ტექნოლოგიები ბიზნესში“ და ,,ციფრული ბიზნესი“.
- გადამუშავდეს სასწავლო კურსები ,,შესავალი ფინანსებში“ და ,,რისკების მენეჯმენტი“.
- რეკომენდებულია, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა გააქტიუროს მუშაობა პროგრამის ხელმძღვანელებთან და პროგრამის მრჩეველთა საბჭოს წევრებთან, რათა პროგრამის კურიკულუმის მონიტორინგის მიზნით შემუშავდეს მაქსიმალურად ზუსტი კურიკულუმის რუკა.

„ბიზნესის ადმინისტრირების" ინგლისურენოვან სამაგისტრო საგანამანათლებლო პროგრამაზე რეკომენდაციები:

- პროგრამაში სავალდებულო კურსების სახით უნდა წარმოდგენილი იყოს „ფინანსური მენეჯმენტი“, „აკადემიური წერა“ და ,,კრიზისების და ცვლილებების მართვა“.
- გადაიხედოს პროგრამის სტრუქტურა არჩევით მიმართულებებთან მიმართებაში, რათა შესაძლებელი იყოს კვალიფიკაციის შესაბამისი ცოდნის გაღრმავება.
- „კვლევის მეთოდოლოგიის“ სასწავლო კურსში გაძლიერდეს რაოდენობრივი კვლევის მეთოდების და SPSS-ისსწავლება;
- გადაიხედოს სასწავლო კურსების „მენეჯერული ეკონომიკა“-ს და „საერთაშორის ოფინანსები“ ფარგლებში შესასწავლი საკითხები მათი სწავლების საფეხურთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით.
- დაკორექტირდეს სასწავლო კურსის „კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის სტრატეგია ბიზნესისთვის“ სახელწოდება, რათა იგი შესაბამისობაში მოვიდეს კურსის შინაარსთან. შესაბამისი კორექტირება უნდა განხორციელდეს სასწავლო გეგმაშიც.

„ბიზნესის ადმინისტრირების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე რეკომენდაციები:

- პროგრამაში სავალდებულო კურსების სახით უნდა წარმოდგენილი იყოს „ფინანსური მენეჯმენტი“, „აკადემიური წერა“ და ,,კრიზისების და ცვლილებების მართვა“.
- გადაიხედოს პროგრამის სტრუქტურა არჩევით მიმართულებებთან მიმართებაში, რათა შესაძლებელი კვალიფიკაციის შესაბამისი ცოდნის გაღრმავება.
- მოხდეს პროგრამის სასწავლო კურსებში გამოყენებული სავალდებულო ლიტერატურის ნუსხიდან ქართულენოვანი სამოყვარულო ლიტერატურის ამოღება ან/და ქართულ ენაზე გამოცემული აკადემიური სასწავლო ლიტერატურით ჩანაცვლება.
- „კვლევის მეთოდოლოგიის“ სასწავლო კურსში გაძლიერდეს რაოდენობრივი კვლევის მეთოდების და SPSS - ის სწავლება;
- გადაიხედოს სასწავლო კურსების „მენეჯერული ეკონომიკა“-ს და „საერთაშორისო ფინანსები“ ფარგლებში შესასწავლი საკითხები მათი სწავლების საფეხურთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით.

საბჭოს წევრმა, ეკატერინე ნაცვლიშვილმა დამაზუსტებელი კითხვით მიმართა დაწესებულებას, და იკითხა თუ რატომ ეწერა ადამიანური რესურსების მართვის სილაბუსში,

ეწერა შეფასების მეთოდად (სივი, ინტერვიუ, კულტურის კვლევა სამუშაოს შესრულება პროექტი) ითხოვა ზემო აღნიშნულის განმარტება და აგრეთვე დასძინა თუ რამდენად შესაძლებელია სივის წარმოდგენით იმ თემატიკის სფეროშო ცოდნის შემოწმება რაც გვერძე წერია, რაც სივით მოწმდება.

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა დაწესებულებას წარმოედგინათ მათი პოზიცია.
დაწესებულების წარმომადგენელმა, რუსუდან ბერიაშვილმა განმარტა, რომ მათ ამ საკითხზე საუბარი ქონდათ ექსპერტთანაც და დასძინა ისიც რომ თითეული კომპონენტი მნიშვნელოვანია იმ კუთხით რომ სტუდენტის შეფასება ხდება სწორედ პრაქტიკული კომპონენტებით რომლის ჩამონათვალიც სილაბუშია მოცემული. რაც შეეხება პრაქტიკულ კომპონენტს, დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა თუ რატომ არ არის სილაბუსი დეტალურად მოცემული, მისი თქმით სტუდენტები პრაქტიკას გადიან სხვადასხვა დაწესებულებაში სხვადასხვა ბიზნესის სფეროს პრაქტიკის გასავლელად. რაც შეეხება პრაქტიკის შინარსობრივ მხარეს, სტუდენტი დეტალურად აღწერს ყველაფერს საქმიანობის დღიურში რომელსაც შემდგომ დაწესებულება აფასებს.

საბჭოს წევრმა, ეკატერინე ნაცვლიშვილმა დასვა დამაზუსტებელი კითხვა იმასთან დაკავშირებით თუ როგორ ხდება მაგ: ორგანიზაციაში კომუნიკაციის ბარიერების გააზრება და ამ ბარიერების დასაძლევად უკუკავშირის გამოყენება სივის დაწერით როგორ ფასდება?
რუსუდან ბერიაშვილმა პასუხი გასცა ეკა ნაცვლიშვილის კითხვას და აღნიშნა, რომ კონკრეტული ერთი შესრულებული დავალება არ გულისხმობს შედეგზე გასვლას. მისი თქმით შედეგზე ის ერთობლიობა გადის, რომელიც სილაბუსშია ჩამოთვლილი.
დაწესებულების წარმომადგენელმა, თეონა მაისურაძემ აღნიშნა, რომ სივს ის უყურებს როგორც პირველ შუალედურ რგოლს რომელსაც დიდი მნიშვნელობა აქვს პიროვნების დახასიათებისთვის.

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია „ბიზნესის ადმინისტრირების" ინგლისურენოვან სამაგისტროსაგანამანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით.
ექსპერტთა ჯგუფის წევრმა, თორნიკე ხოშტარიამ საზოგადოებას გააცნო ამ პროგრამაზე წარმოდგენილი რეკომენდაციები:

- პროგრამაში სავალდებულო კურსების სახით უნდა წარმოდგენილი იყოს „ფინანსური მენეჯმენტი“, „აკადემიური წერა“ და ,,კრიზისების და ცვლილებების მართვა“.
- გადაიხედოს პროგრამის სტრუქტურა არჩევით მიმართულებებთან მიმართებაში, რათა შესაძლებელი იყოს კვალიფიკაციის შესაბამისი ცოდნის გაღრმავება.
- „კვლევის მეთოდოლოგიის“ სასწავლო კურსში გაძლიერდეს რაოდენობრივი კვლევის მეთოდების და SPSS-ისსწავლება;
- გადაიხედოს სასწავლო კურსების „მენეჯერული ეკონომიკა“-ს და „საერთაშორის ოფინანსები“ ფარგლებში შესასწავლი საკითხები მათი სწავლების საფეხურთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით.
- დაკორექტირდეს სასწავლო კურსის „კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის სტრატეგია ბიზნესისთვის“ სახელწოდება, რათა იგი შესაბამისობაში მოვიდეს კურსის შინაარსთან. შესაბამისი კორექტირება უნდა განხორციელდეს სასწავლო გეგმაშიც.

ექსპერტთა ჯგუფის წევრმა, თეა კასრაძემ ხაზგასმით აღნიშნა ის საკითხი რომელზეც ყურადღება გამახვილდა ექსპერტების მიერ პროგრამასთან მიმართებაში. მისი თქმით პროგრამას ქონდა არჩევითი საგნები და კონცეტრირებული იყო ფინანსების, მარკეტინგის მიმართულებით და და ამავედროს წარმოდგენილი იყო სამართლის საგნების კონცეტრაცია.

პროგრამის სტრუქტურით ყველა არჩევითი საგნის შეთავაზება მესამე სემესტრში ხდებოდა. საერთო ჯამში ოცი კრედიტის ოდენობით, და შესაძლებლობა ქონდა სტუდენტს ოცივე კრედიტი აეღო სამართლის საგნებიდან. შესაბამისად ექსპერტების მიერ რეკომედაციაში ამ საკითხთან მიმართებაში ხაზგასმა მოხდა. არგუმენტი რაც ექსპერტებმა მოიყვანეს იყო ის, რომ თუ სტუდენტი აირჩევდა ერთი მიმართულებიდან ოც კრედიტს ალბათობა იმისა რომ ის კარგავდა მნიშვნელოვანს სხვა პროგრამიდან ცოდნის გაღრმავების დიდი იყო. რაზედაც დაწესებულებამ განუმარტა ექსპერტებს, რომ ისინი წინასაწარ სტუდენტებს აწვდიან ინფორმაციას იმაზე თუ რა საგნები უნდა აირჩიონ. მიუხედავად განმარტებისა ექსპერტებმა მიიჩნიეს დაწესებულების პოზიცია არასაკმარისად. გარდა ამისა სამართლის საგნებთან მიმართებაში დაძლევადობის კუთხით კითხვის ნიშნები დასვეს ვინაიდან სტუდენტებს წინაპირობები არქონდათ გავლილი. ყოველივე ამან გამოიწვია ის რომ დაწესებულების მიმართ გაიცა რეკომენდაცია.

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა დაწესებულებას წარმოედგინათ მათი პოზიცია.
დაწესებულების წარმომადგენელმა, თეონა მაისურაძემ აღნიშნა რომ მიმდინარე პროცესი პროგრამის განვითარების ბუნებრივი ნაწილია და მადლობა გადაიხადა გაცემული რეკომენდაციებისთვის. დაწესებულების წარმომადგენელმა ესპიესესის ნაწილთან მიმართებით აღნიშნა რომ დაწესებულებამ წარმოადგინა, სხვა სამაგისტრო პროგრამებში კონკრეტულ ნაშრომებში, როგორც ექსპერტმა აღნიშნა ცოტა ნაკლებად იყო ესპიესესის საკითხი ჯეროვნად გამოყენებული, როგორც აღნიშნა მათი პროგრამისთვის და ყველა ახალი პროგრამისთვის ინსტიტუციისათვის განვითარების საშუალებაა რათქმაუნდა და ყველა სიახლე მერე ინტეგრირდება სხვა პროგრამებშიც ასევე სილაბუსი ორნაწილად არის გაყოფილი პირველი ნაწილი სრულად ეთმობა ხარისხობრივი კვლევის კონკრეტული პროგრამაზე სრულად მონაცემთა დამუშავებას და კურსის მეორე ნაწილი სრულად ესპიესეს ემთხვევა შვიდი კვირის განმავლობაში. რისი მამოწმებელიც სილაბუსია სადაც ესპიესესში ხდება ყველა სახის ანალიზი, რეკომენდაცია, მონაცემთა შეყვანა და ა.შ. რომელიც ყოველკვირეულად მოწმდება. ასევე აღინიშნა ის რომ ეს მათ პროგრამასთან ერთად სხვა დაწესებულების პროგრამის განვითარებისთვის ხელსაყრელ პირობას ქმნის.
დაწესებულების წარმომადგენელი შეხო ასევე სამართლის მიმართულებიდან არჩევითი საგნის საკითხს და განმარტა, რომ მათი მჭიდრო კავშირი სხვადასხვა პროგრამებს შორის აძლევთ იმის საშულებას რომ მონათესავე პროგრამის ხელმძღვანელებთან მჭიდროდ იმუშაონ. სამართლის საგნებთან მიმართებით კი აღნიშნა, რომ საგნები შერჩეულია იმდაგვარად რომ ავსებს და აღრმავებს ბიზნეს ადმინისტრირების ცოდნას. საგნები როგორიც არის კორპორაციული მართველობა, ბიზნეს დავები და სავაჭრო სამართალი სრულად ბიზნესის ადმინსიტრირების თემებს ერგება, გავლილია როგორც მათი სირთულე იმის მხრივ თუ რამდენად დაძლევადია, რაც შეეხება კრედიტის არჩევითობას ოცივე კრედიტი ერთი მიმართულებიდან აღინიშნა რომ ძირითადი საგნები მათ აძლევთ შესაძლებლობას, რომ პროგრამის შედეგებზე გავიდნენ, რაც შეხება ცოდნის გაღრმავებას აქცენტი მან გაკეთა სტუდენტის თავისუფლებაზე არჩევითობის კუთხით და დასძინა ის რომ ვინაიდან საგნები ეხება ბიზნეს სამართალს ამხრივ არანაირ ცდომილებას ადგილი არაქ.
დაწესებულების წარმომადგენელმა, თეონა მასიურაძემ რეკომედაციებთან დაკავშირებით აღნიშნა ის, რომ პირველი რეკომენდაცია ქონდათ მიმართულებების მიხედვით კერძოდ სამ კონკრეტულ მიმართულების საგანს ეხებოდა, ფინანსური მენეჯმენტი, აკადემიური წერა და კრიზისების და ცვლილებების მართვის კურსი რომელიც ექსპერტებმა შესთავაზეს სავალდებულო კურსის სახით. დაწესებულებამ, როგორც აღნიშნა მათ აქვთ ფინანსური მიმართულებით საგნები რომლებიც ასახავს ამ საკითხებს, თუმცა ექსპერტებთან საუბრის შემდეგ, სიღრმისეულად გაიარეს ეს საკითხი სამუშაო ჯგუფის წევრებთან და სილაბუსის ლექტორებთანაც და გადაწყვიტეს რომ თავისუფალი კრედიტების ხარჯზე (რომელიც ათი კრედიტია პროგრამაში მოცემული) დაამატონ ფინანსური მენეჯმენტის კურსი რომელიც

მისცემთ შესაძლებლობას მყარ შედეგზე გასვლის კუთხით. თუმცა მაინც თვლიან, რომ ის ყველა საკითხი დაფარული იყო რეკომედაციებში და მადლობა გადაიხადა რეკომენდაციისთვის. აკადემიურ წერასთან მიმართებით კი გააჟღერა შემდეგი პოზიცია, თვლიან რომ პროგრამულად, სტრუქტურულად და პროცესუალურად კარგად აქვთ აწყობილი სამაგისტრო ნაშრომების ყველა ეტაპები, ბაზიდან, რეკომენდაციებიდან, ინსტრუქციებიდან დაბეჭდილი გზამკვლევებიდან და თვითონ უშუალოდ ხელმძღვანელების კვალიფიკაციებიდან გამომდინარე ართვლიან რომ აკადემიური წერა ცალკე საგნად ესაჭიროებათ დაწესებულებაში. თუმცა ეს საკითხები კვლევის მეთოდოლოგიის სილაბუსში ფართოდ არის დაფარული და იმ ფორმატზე მოდის მთელი სილაბუსი რომელიც დასტურდება ფინალური და შუალედური გამოცდებით სადაც იგივე მოთხოვნებით მოწმდება შესაბამისი დავალებები. რაც შეეხება კრიზისების და ცვლილებების მართვის კურს მთლიანი პროგრამა სრულად არის აგებული ცვლილებების და კრიზისების მართვაზე. მათი იდეოლოგია არის ის რომ არაფერი არ ჩერდება, ყველაფერი იცვლება. და დღეს კუსრდამთავრებული ხვალ ბაზარმა შეიძლება გაუთვალისიწნებელი შედეგების წინაშე დააყენოს. ამიტომ ხელმძღვანმელობენ ისეთი კურსებით როგორიც არის ცოდნის მართვა ორგანიზაციაში, გადაწყვეტილების მიღება და სისტემური აზროვნება რომელიც სრულად მოიცავს ყოველდღიური ცვლილებების და კრიზისების მართვას. ამიტომ ართვლიან რომ ცალკე კურსად უნდა დაიფაროს ეს ყველაფერი, მისი თქმით აქვთ პრაქტიკული კურსი კომპანიებში რეალური პრობლემების გადაჭრის მიზნით ხორციელდება და ესეც არსებული კრიზისების და ცვლილებების პრაქტიკული კუთხით გამყარებას ემსახურება. რაც შეხება უშუალოდ მენეჯერულ ეკონომიკას და საერთაშორისო ფინანსებს ერთი სავალდებულო კურსია, მეორე არჩევითი, აქაც აკადემიური თავისუფლებიდან გამომდინარე და იმ კვალიფიკაციებიდან გამომდინარე ეს აკადემიური პერსონალი იქნება თუ მოწვეული, მიჩნევენ რომ მათ სრული აკადემიური თავისუფლება და კვალიფიკაცია გააჩნიათ კურსის შედგენისას თუმცა დაამატა ასევე ის რომ მექანიზმები გააჩნიათ ხარისხის კუთხით შემოწმების. საჭიროებისამებრ მზაობა გამოთქვეს კურსის განვითარების დამატებითი საგნების შემოტანის და კურსის განვითარების. რაც შეეხება კურსის სახელწოდების ცვლილების საკითხი ტექნიკური უზუსტობიდან გამომდინარე გამოეპარათ. მოხდა სახელწოდების ცვლილება კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის კურსის სახელთან მიმართებაში. ქართულ ენოვან პროგრამასთან მიმართებით მომხსენებელმა აღნიშნა რომ იყო ერთადერთი განსხვავებული რეკომენდაცია მათი ხედვა პროგრამის ინოვაციური სიახლეებით არის გამყარებული, მათ B2 მოთხოვნის მიუხედავად შეარჩიეს ბესტსელერები და მნიშვნელოვანი ახალი ტენდეციები რომლებიც თარგმნილ იქნა ქართულ ენაზე კერძოდ (ლურჯი ოკიანის წიგნების ფართო არჩევანიაქვთ შეტანილი) რომლებიც შეტანილი აქვთ სავალდებულო ლიტერატურაში, რეკომენდირებული იყო ის რომ გადაეტანათ არჩევითში, არგუმენტი კი ამის გახლდათ ის, რომ არიყო სავალდებულო სახელმძღვანელო ლიტერატურა. მისი აზრით, პროგრამა თვითონ უნდა ემსახურებოდეს მომავალი კურსდამთავრებულის თვალსაწიერის და აზროვნების გაფართოებას. და თვლის რომ ეს უნდა იყოს სავალდებულო ლიტერატურის კურსებში. რაც შესძლებლობას მისცემს სიახლესთან მუდმივი წვდომის შესაძლებლობას.
დაწესებულების წარმომადგენელმა ნონა ზუმბაძემ დამატებით ისაუბრა ბოლო რეკომენდაციასთან მიმართებით და აღნიშნა რომ მათ აქვთ ქართულ ენოვან ლიტერატურასთან ერთად ინგლისურ ენოვანი ლიტერატურაც წარმოდგენილი. დაშვების წინაპირობა კი აქვთ B2 დონე ინგლისური ენის და თვლიან რომ სტუდენტებს არგაუჭირდებათ თუ ქართულ ენოვანი ლიტერატურაც არიქნება წარმოდგინილი, მაგრამ როგორც აღნიშნა პროგრამის ხელმძღვანელის აზრით ორივე უნდა იყოს სავალდებულო ლიტერატურის სახით წარმოდგენილი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
თავად საბჭოს თავჯდომარემ, ნათია ზედგენიძე-ჯიშკარიანმა დამაზუსტებელი კითხვით მიმართა თეონა მაისურაძეს, რომელიც ეხებოდა 2.2 სტანდარტს, კერძოდ კი ოც არჩევით კრედიტს და ითხოვა მოწოდებული ინფორმაციის უფრო თვალნათლივ წარმოჩენა.

საბჭოს წევრმა, ეკა ნაცვლიშვილმა მადლობა გადაიხადა საინტერესო პროგრამის წარმოდგენისთვის, და აღნიშნა რომ მაქსიმალურად გულდასმით გაეცნო კომპეტენციის ფარგლებში, მას ქონდა დამაზუსტებელი კითხვა იმასთან დაკავშირებით რომ ხომ არ იყო პროგრამა ორიენტირებული მართვის სოციალურ ასპექტზე და პროგრამის ფინანსური მხარე კი შედარებით დაკნინებული ყოფილიყო. შესაბამისად კვალიფიკაცის ნაწილში ხომ არ მოდიოდა ცდომილებაში აღნიშნული კურსი. გარდა ამისა ორ სასწავლო კურსთან მიმართებით ლიდერობა და სტრატეგიები და ასევე ორგანიზაციული განვითარება კვალიფიკაციიდან გამომდინარე ნაკლებად ფარავენ სტრატეგიული მენეჯმენტის იმ ცოდნას საბაზრო სტატეგიებს რაც ისევ კვალიფიკაციის მინიჭებისთვისა მნიშვნელოვანი. შესაბამისად კვალიფიკაციის მინიჭებისთვის სხვა სიღრმე ხომ არ უნდა ქონდეს ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრს.
თეონა მაისურაძემ საბჭოს თავჯდომარის კითხვის პასუხად ბრძანა ის, რომ ექსპერტების პოზიცია იმასთან დაკავშირებით, რომ ყველა არჩევითი საგნის ერთი მიმართულებიდან გავლა ხომ არ გამოიწვევდა სხვა არჩევითი კურსის გაღრმავების საკითხში დანაკლის. დაწესებულების პოზიციაა ის, რომ მიუხედავად იმისა, რომ მიმართულებები არის არჩევითი და სტუდენტს შეუძლია აირჩიოს მიმართულებები ის ოთხივე კურსი რომელიც შეთავაზებულია სამართლიდან არის ბიზნესის მართვასთან დაკავშირებული კურსები, რომელიც კონცეტრირებულია სხვადასხვა ასპექტებზე, როგორიც არის კორპორაციული მართვა, ბიზნეს დავები, მათი სპეციფიკა, საერთაშორისო სავაჭრო სამართალი და ფიქრობენ რომ ამ კუთხით სტუდენტს მაინც ექნება საშუალება ბიზნეს ადმინისტრირებასთან დაკავშირებული ცოდნის გაღრმავების. იმ შემთხვევაში თუ აირჩია ყველა არჩევითი საგანი სამართლის მიმართულებიდან.
სხდომის თავჯდომარემ დამატებით კითხა მომხსენებელს დაწესებულებიდან, რომ კურსები რომელზეც საუბრობდნენ პროგრამის სხვა სტუდენტებისთვისაც თუ იყო ხელმისაწვდომი? კითხვაზე პასუხად დაწესებულების წარმომადგენელმა თეონა მაისურაძემ განაცხადა რომ ეს არის არსებული პროგრამიდან შემოთავაზებული კურსები რომელიც შეიძლება სხვა პროგრამის სტუდენტებმაც გაიარონ. ამის პრაქტიკა მათ ქონდა მონათესავე პროგრამებში კურსების შეთავაზებისას.
დაწესებულების წარმომადგენელმა ლიდერობის კურსთან მიმართებით ხაზგასმით აღნიშნა ის რომ მათი პროგრამა თავიდან ბოლომდე აგებულია ბაზარზე მორგებული იმ კონკრეტული უნარებით რომელიც აუცილებლად უნდა ქონდეს სტუდენტს, მათ შესწავლილი აქვთ სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულის მიერ შესაძლო ყველა პოზიცია რაკი შეილება სტუდენტმა დაიკავოს კურსდამთავრების შემდეგ და ამ პოზიციაში სამუშაო აღწერილობები განაცხადებები ვაკანსიები რომლებიც კონკრეტულად მიუთითებს იმ უნარებზე რაც უნდა ქონდეს კონკრეტული პოზიციის დამკავებელს, ამიტომაც კურსები აგებულია იმ შედეგებზე რომლებიც აუცილებლად უნდა მიიღონ პროგრამის შედეგად.
თითეული კურსი და კურსთა თანახვედრა არა მხოლოდ სემესტრების მიხედვით არის, არამედ ლოგიკური ბმის მიხედვით, მაგალითად ორგანიზაციის განვითარება, ოპერაციული სრულყოფილება, ცოდნის მართვა, არის ცალკეული კურსის ბმები რომლებიც ერთმანეთს ავსებს შედეგიდან გამომდინარე და სემესტრში ერთობლიობა, რასაც გაყავს კონკრეტულ შედეგზე. რაც შეეხება კურსს ლიდერობა და სტატეგია აღნიშნა, რომ კურსის ხედვა არის ის, რომ ორი საკითხი ბაზრიდან გამომდინარე და მოთხოვნიდან გამომდინარე რაც ბაზრის კვლევის დროს ჩატარდა იყო ის, რომ ცალკეულად არ განიხილება სტრატეგიული მართვა თუ არ მივაბით ლიდერობას, ის ორგანიზაციაში არიქნება უბრალოდ განხორციელებადი. ამ ჭრილშია დაფარული ეს კონკრეტული კურსი, კურსი შეფასებული აქვს საზღვარგარეთში არსებულ მათ კოლეგებს. და კურს ყავს ორი ავტორი, ეს პრაქტიკა შემოიტანეს იქედან გამომდინარე, რომ არ უნდოდათ ამ პროგრამაში ყოფილიყო ცალკეული მდგომი კურსები და რადგან კურსი არის შედეგებზე სრულად მორგებული, ამიტომ საწყის ეტაპზე თანამშრომლობით მეტი კომპეტენციიდან გამომდინარე ცდილობენ, რომ არაფერი გამორჩეთ და კვალიფიკაციას არ აცდნენ. რაც შეეხება ორგანიზაციის განვითარების კურს, აქაც

კონკრეტულ დიაგნოსტიკას ეთმობა ძალიან დიდი ნაწილი გამომდინარე იქიდან, რომ მათ პროგრამის განვითარების ნაწილშიც უწერია, რომ სტრუქტურა განსაზღვრავს ყველაფერს რაც შემდგომ ორგანიზაციას მოყვება, აქედან გამომდინარე ფიქრობენ, რომ ესეთი სიღრმისეული დიაგნოსტიკის მიმართულებით თვლიან, რომ მეტ სიღრმისეულ აღქმაზე გადიან მიუხედავად იმისა, თუ როგორ უნდა იყოს აწყობილი ორგანიზაცია, ამ ორგანიზაციული კურსის განვითარების ფარგლებში. ოპერაციული განვითარების სრულყოფილების კურსი აქვთ, რომელიც უფრო სიღრმისეულად მის განხორციელებაზეა ორიენტირებული პრაქტიკული კუთხით.

საბჭოს წევრმა ეკა ნაცვლიშვილმა მადლობა გადაუხადა დაწესებულების წარმომადგენელს და კიდევ ერთი დამაზუსტებელი კითხვა დასვა იმასთან დაკავშირებით თუ რომელი კურსებით იფარება.

დაწესებულების წარმომადგენელს ამავედროს კითხვა დასუვა ლევან მოსახლიშვილმა. რომლის კითხვაც შეეხო სამართლის საგნებს რომლებსაც სტუდენტები გადიან პროგრამის ფარგლებში და რამდენად დაძლევადი სირთულისაა შეთავაზებული საგნები პროგრამის ფარგლებში.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა რომ ფინანსებთან დაკავშირებით გაიჟღერა კითხვამ და როგორც აღნიშნა ამოწურავად ვერ გასცა პასუხი რისთვისაც ბოდიში მოიხადა რომელსაც კიდევ ერთხელ დაუბრონდა და როგორც აღნიშნა მათ ქონდათ რეკომენდაცია ექსპერტების მიერ გაცემული რომლის განხილვაც მოხდა ვიზიტის ფარგლებში და რომლის დამუშავებაც მოხდა შემდგომ, სწორედ აქედან გამომდინარეობდა ის რეკომენდაცია რომელის დამატებაც გულისხმობდა ფინანსური მენეჯმეტის, დამატებით სავალდებულო კურსად დამატება გამოიწვევდა ყველა ეჭვის გაქარწყლებას. დაწესებულება დაეთანხმა ამ მართულებით კურსის დამატების საკითხს, დაწესებულებამ როგორც აღნიშნა რიგი საკითხები უკვე დამუშავებული აქვთ ეცადნენ არსებული კურსების გადაფარვა არმომხდარიყო და შევსების კუთხით მასში წარმოდგენილი თემა და სწავლის შედეგები და კურსი დამუშავებულია თავისუფალი კრედიტის ხარჯზე და დემატება, პროგრამას სავალდებულო კურსებში.

დაწესებულების წარმომადგენელმა ანა ფირცხელეიშვილა მადლობა გადაუხადა ლევან მოსახლიშვილს შეკითხვისთვის და დამატა სამართლის საგანთან მიმართებით ის რომ მოცემული სფერო არ არის რეგულირებადი სფერო და მათ არაქვთ ინფორმაცია ვინ ეყოლებათ მაგისტრატურის კურსზე. შეილება ყავდეთ იურისტები, სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტები, ბიზნესის სტუდენტები და ა.შ. შესაბამისად მათ არაქვთ სტუდენტების (წარმომავლობაზე) ინფორმაცია, ამიტომ მათ არ შეუძლიათ ზუტად გათვლონ ეს საკითხი, გარდა ამისა მეორე საკითხიც დგას მათ წინაშე, სავალდებულოდ არ თავაზობენ და არჩევითი კურსებიდან სტუდენტი თვითონ იღებს გადაწყვეტილებას მისი დონიდან გამომდინარე არიჩიოს თუარა კონკრეტული საგანი.

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია „ბიზნესის ადმინისტრირების" სამაგისტრო საგანამანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით.

თორნიკე ხოშტარიამ ქართულ ენოვან სამაგისტრო პროგრამასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ რეკომენდირებულია პროგრამაში სავალდებულო კურსების სახით დაემატოს ფინანსური მენეჯმენტი, აკადემიური წერა, კრიზისების და ცვლილებების მართვა ასევე ესპიესესთან დაკავშირებით ქონდათ რეკომენდაცია, რომ გაძლიერდეს სასწავლო კურსი, მონათესავე პროგრამების სამაგისტრო ნაშრომებიდან გამომდინარე. ასევე, მენეჯერულ ეკონომიკასთან და საერთაშორისო ფინანსებთან დაკავშირებით და აგრეთვე, ქართულ ენოვან სამაგისტრო პროგრამაში როგორც ისნტიტუციამ ახსენა ბესტსელერებთან მიმართებაში მიიჩნიეს, რომ ეს არ არის ლიტერატურა და შესაბამისად გადასულიყო დამატებითი ლიტერატურის ჩამონათვალში, დამატებოდა ძირითად ლიტერატურას უკვე აკადემიური ლიტერატურა, საიდანაც სტუდენტები შეძლებენ უფრო კომპეტენტური ინფორმაციის მიღებას რომელიც დაფუძნებულია გრძელვადიან და ხანგრძლივ კვლევებზე. რასაც აკადემიური ლიტერატურა სთავაზობს სამაგისტრო დონის სტუდენტებს.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ნათია მაისურაძემ აღნიშნა, რომ ქართულ ენოვან სამაგისტრო პროგრამას ქონდა ხუთი რეკომენდაცია, პოზიციები იგივე აქვთ რაც წინა პროგრამასთან მიმართებით ქონდათ. რაც შეეხება ქართულ ენოვან პროგრამას, B2 დონის მოთხოვნიდან გამომდინარე ინგლისურ ენოვანი სავალდებულო ლიტერატურა წარმოდგენილია ყველა სილაბუსში და რაც შეეხება იმ ლიტერატურას, რაც ქართულ ენოვანად განსაზღვრეს არის განსხვავებული სტილის ლიტერატურა, თანამედროვე ტენდეციების უკეთესად აღქმის მიზნით კარგი იქნებოდა რომ ყოფილიყო სავლდებულო ლიტერატურაში.
ექსპერტთა ჯგუფის წევრმა, თეა კასრაძემ აღნიშნა, რომ ლიტერატურა მართლაც რომ საინტერესოა, მაგრამ არ ეთანხმება იმ პოზიციას რომ ის სავალდებულო ლიტერატურაში უნდა იყოს, ის შედეგი რაც, თითეულ საგანს მითითებული აქ ამ ლიტერატურით იმ შედეგზე ვერ გავა. დაწესებულებას, ეთანხმება მხოლოდ იმ ნაწილში რა ნაწილშიაც B2 დონეს ითხოვენ და თვილიან, რომ დაეტოვებინათ მხოლოდ ინგლისური ლიტერატურა. მისის თქმით სტუდენტი არ უნდა იქნეს შეცდომაში შეყვანილი რომ ამ წიგნით გავა რაღაც შედეგზე.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
საბჭოს წევრების მხრიდან კითხვები არ ყოფილა.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 17:00
დასრულების დრო: 17:20

საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში არსებული შეფასება, კერძოდ, 2.6 ქვესტანდარტი ნაცვლად „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“ განსაზღვრა, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, ამ ცვლილებას არ გამოუწვევია მთლიანად მეორე სტანდარტის ცვლილება.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: შპს - საქართველოს ეროვნულ უნივერსიტეტ - სეუ-ს „ბიზნესის ადმინისტრირების" ინგლისურენოვან საბაკალავრო საგანამანათლებლო პროგრამისთვის 2024 წლის 31 დეკემბრამდე აკრედიტაციის მინიჭების საკითხი, ერთი წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება: „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-4 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-8 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლი ს პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შპს - საქართველოს ეროვნულ უნივერსიტეტ - სეუ-ს „ბიზნესის ადმინისტრირების" ინგლისურენოვან საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 2024 წლის 31 დეკემბრამდე, 1 წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

საბჭომ ექსპერტთა დასკვნაში ასახული რეკომენდაციები განსაზღვრა შემდეგნაირად:

- გადაიხედოს პროგრამის სწავლის შედეგების და სასწავლო კურსების შედეგების შესაბამისობის რუკა.
- მიზანშეწონილია პროგრამის სტრუქტურაში წინაპირობების ნაწილში განხორციელდეს შემდეგი სახის ცვლილებები:
    - „ბუღალტრული აღრიცხვის პრინციპებს“ მოეხსნას წინაპირობა;
    - „ლიდერობას“, ნაცვლად „მენეჯმენტის პრინციპებისა“, დაშვების წინაპირობად განესაზღვროს „ადამიანური რესურსების მართვა“;
    - „მენეჯერულ აღრიცხვას“ დაშვების წინაპირობად განესაზღვროს ,,ფინანსური აღრიცხვა“
    - „საერთაშორისო ეკონომიკა და სავაჭრო პოლიტიკის პრინციპებს“ წინაპირობად განესაზღვროს ,,საერთაშორისო ბიზნესი“.
- რეკომენდებულია მოხდეს მესამე შედეგთან მიმართებით მიზნების და შედეგების ბმა პროგრამის სტრუქტურის გათვალისწინებით, რაც გულისხმობს სასწავლო კურსებში მწვანე ეკონომიკის საკითხების სწავლების გაძლიერებას.
- სავალდებულო სასწავლო კურსების სახით დამუშავდეს და შეთავაზებულ იქნას სასწავლო კურსები „ინფორმაციული ტექნოლოგიები ბიზნესში“ და ,,ციფრული ბიზნესი“.
- გადამუშავდეს სასწავლო კურსები ,,შესავალი ფინანსებში“ და ,,რისკების მენეჯმენტი“.
- რეკომენდებულია ზოგიერთ სასწავლო კურსში (მაგ. ადამიანური რესურსის მართვა) შეფასების კომპონენტი დაზუსტდეს სწავლის შედეგებისა და სწავლების მეთოდების შესაბამისად.
- რეკომენდებულია, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა გააქტიუროს მუშაობა პროგრამის ხელმძღვანელებთან და პროგრამის მრჩეველთა საბჭოს წევრებთან, რათა პროგრამის კურიკულუმის მონიტორინგის მიზნით შემუშავდეს მაქსიმალურად ზუსტი კურიკულუმის რუკა.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: შპს - საქართველოს ეროვნულ უნივერსიტეტ - სეუ-ს „ბიზნესის ადმინისტრირების" ინგლისურენოვან სამაგისტრო საგანამანათლებლო პროგრამისთვის 2024 წლის 31 დეკემბრამდე აკრედიტაციის მინიჭების საკითხი, ერთი წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-4 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-8 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუ ხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების

შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შპს - საქართველოს ეროვნულ უნივერსიტეტ - სეუ-ს „ბიზნესის ადმინისტრირების" ინგლისურენოვან სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 2024 წლის 31 დეკემბრამდე, 1 წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

საბჭომ ექსპერტთა დასკვნაში ასახული რეკომენდაციები განსაზღვრა შემდეგნაირად:

- პროგრამაში სავალდებულო კურსების სახით უნდა წარმოდგენილი იყოს „ფინანსური მენეჯმენტი“, „აკადემიური წერა“ და ,,კრიზისების და ცვლილებების მართვა“.
- გადაიხედოს პროგრამის სტრუქტურა არჩევით მიმართულებებთან მიმართებაში, რათა შესაძლებელი კვალიფიკაციის შესაბამისი ცოდნის გაღრმავება.
- გადაიხედოს და დაზუსტდეს არჩევითი სასწავლო კურსების წინაპირობები პროგრამის მიზნების და სწავლის შედეგების შესაბამისად.
- „კვლევის მეთოდოლოგიის“ სასწავლო კურსში გაძლიერდეს რაოდენობრივი კვლევის მეთოდების და SPSS - ის სწავლება;
- გადაიხედოს სასწავლო კურსების „მენეჯერული ეკონომიკა“-ს და „საერთაშორისო ფინანსები“ ფარგლებში შესასწავლი საკითხები მათი სწავლების საფეხურთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით.
- დაკორექტირდეს სასწავლო კურსის „კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის სტრატეგია ბიზნესისთვის“ სახელწოდება, რათა იგი შესაბამისობაში მოვიდეს კურსის შინაარსთან. შესაბამისი კორექტირება უნდა განხორციელდეს სასწავლო გეგმაშიც.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: შპს - საქართველოს ეროვნულ უნივერსიტეტ - სეუ-ს „ბიზნესის ადმინისტრირების" სამაგისტრო საგანამანათლებლო პროგრამისთვის 2024 წლის 31 დეკემბრამდე აკრედიტაციის მინიჭების საკითხი, ერთი წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება: „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-4 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-8 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლი ს პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შპს - საქართველოს ეროვნულ უნივერსიტეტ - სეუ-ს „ბიზნესის ადმინისტრირების" სამაგისტრო საგანმანათლებლო

პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 2024 წლის 31 დეკემბრამდე, 1 წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

საბჭომ ექსპერტთა დასკვნაში ასახული რეკომენდაციები განსაზღვრა შემდეგნაირად:

- პროგრამაში სავალდებულო კურსების სახით უნდა წარმოდგენილი იყოს „ფინანსური მენეჯმენტი“, „აკადემიური წერა“ და ,,კრიზისების და ცვლილებების მართვა“.
- გადაიხედოს პროგრამის სტრუქტურა არჩევით მიმართულებებთან მიმართებაში, რათა შესაძლებელი კვალიფიკაციის შესაბამისი ცოდნის გაღრმავება.
- მოხდეს პროგრამის სასწავლო კურსებში გამოყენებული სავალდებულო ლიტერატურის ნუსხიდან ქართულენოვანი სამოყვარულო ლიტერატურის ამოღება ან/და ქართულ ენაზე გამოცემული აკადემიური სასწავლო ლიტერატურით ჩანაცვლება.
- „კვლევის მეთოდოლოგიის“ სასწავლო კურსში გაძლიერდეს რაოდენობრივი კვლევის მეთოდების და SPSS - ის სწავლება;
- გადაიხედოს სასწავლო კურსების „მენეჯერული ეკონომიკა“-ს და „საერთაშორისო ფინანსები“ ფარგლებში შესასწავლი საკითხები მათი სწავლების საფეხურთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით.

დღის წესრიგით განსაზღვრული ყველა საკითხის განხილვის შემდეგ საბჭოს სხდომა დახურულად გამოცხადდა 17:25 სთ-ზე.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ბუჩაშვილი გოდერძი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭო
სხდომის თავმჯდომარე
ზედგინიძე-ჯიშკარიანი ნათია

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ტეფნაძე დავით